განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მენეჯმენტი

შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

შეფასების თარიღ(ებ)ი 20.01.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 9 მარტი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის ბაკალავრი, 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათელა გიორგაძე, დამსაქმებელი ექსპერტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 2010 წლიდან. ბოლო აკრედიტაცია პროგრამამ 2015 წელს გაიარა. პროგრამის მიზანია მრავალფეროვანი სასწავლო კურსების და უახლესი ლიტერატურის შეთავაზებით, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და პრაქტიკული კომპონენტის მუდმივი გაძლიერების გზით მოამზადოს მენეჯმენტის სფეროში თანამედროვე ცოდნით და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

მეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს და იყოფა შემდეგ კომპონენტებად: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (147 კრედიტი); სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (27 კრედიტი); თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები (12 კრედიტი); თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები (30 კრედიტი); თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები (24 კრედიტი).

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში. საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა უნდა იცოდეს უცხო ენა (ინგლისური) B1 დონეზე. ბაკალავრიატის სრული კურსის ათვისება ბაკალავრს შესაძლებლობას აძლევს წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ კომერციულ და არაკომერციული ორგანიზაციებში, დაბალი და საშუალო დონის მენეჯერის პოზიციაზე.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) - 58, მათ შორის პროფესორი - 5, ასოცირებული პროფესორი-10. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 8 -ს.

პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი 2018 წლის მონაცემებით შეადგენს 35% -ს. კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელი 60%-ია, ხოლო სწავლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძლების მაჩვენებელი 68%.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მ.წ. 20 იანვარს. მიუხედავად ადმინისტრაციის მხრიდან შექმნილი დაძაბული ვითარებისა, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (უნივერსიტეტის რექტორს, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს), პროგრამის თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გადამოწმდა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი. პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, იბეჭდება მათი ნაშრომები, ჩართულები არიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
- პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მოერე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- საჭიროა დაზუსტდეს პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტების არსი, რათა პროგრამის სტრუქტურა არ იყოს ბუნდოვანი და სტუდენტებისთვის რთულად აღქმადი;
- საჭიროა გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა;
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები გაიწეროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში გაწერილ სწავლის დონესთან (ბაკალავრიატთან);
- სასურველია სტუდენტის შეფასების სისტემა შესაბამისაობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 მუხლი 4, პუნქტი 9-თან და სტუდენტთა შეფასება გამოისახოს ქულებში და არა პროცენტებში;
- რეკომენდებულია მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის ასამაღლებლად;
- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი მიმართულებით გააქტიურება და საგრანტო სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში მეტი ჩართულობა;
- აუცილებელია უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, დაფინანსების გაზრდა;
- აუცილებელია ტრენინგების / სხვადასხვა უნარ-ჩვევების ასამაღლებელი ღონისძიებების ინტენსიური დაგეგმვა და განხორციელება;რეკომენდებულია სამომავლოდ, გარდა ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებისა, გამოიყენოს პერიოდული შეფასების კიდევ ერთი მექანიზმი, გარე ექსპერტის შეფასება, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს პროგრამის განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გამსხვილდეს და გაღრმავდეს სასწავლო კურსებში თემატიკა, არსებული სასწავლო კურსების გაერთიანების გზით;
- აუცილებელია პრაქტიკული აქტივობების გამრავალფეროვნება როგორც სტუდენტებისათვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის;
- აუცილებელია პროგრამის ხელმძღვანელის მეტი ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში;
- აუცილებელია კომუნიკაციის გაუმჯობესება ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ, მოწვეულ პერსონალს შორის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საგამოცდო პროცესის კომპიუტერიზაცია და ავტომატიზაცია, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების იმპლემენტაცია საგამოცდო პროცესში, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანია „უზრუნველყოს მენეჯმენტის სფეროში თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც განვითარებული აქვთ მენეჯერული აზროვნების ხუთი კომპონენტი (რეფლექსური აზროვნება, ანალიტიკური აზროვნება, გლობალური აზროვნება, თანამშრომლობაზე ორიენტირებული აზროვნება, ქმედებაზე ორიენტირებული აზროვნება) და ფლობენ თანამედროვე მენეჯერისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს; სტუდენტებს მისცეს ცოდნა ბიზნესის, მენეჯმენტის, მისი ქვედარგებისა და ფუნქციების შესახებ, განუვითაროს საქმიან გარემოში კომუნიკაციისა და როგორც გუნდის მართვის, ისე გუნდში მუშაობის უნარები, ჩამოუყალიბოს მიდგომები და პრინციპები, რომლებიც თანამედროვე მენეჯერებისთვისაა დამახასიათებელი; შრომის ბაზარს მიაწოდოს განვითარებაზე ორიენტირებული დარგის სპეციალისტი, რომელიც შრომის ბაზარზე იქნება მოთხოვნადი და საქმისადმი პროფესიონალური, ეთიკური მიდგომით შექმნის ფასეულობას როგორც დამსაქმებელი ორგანიზაციის, ასევე მთლიანად საზოგადოებისთვის; პროგრამა მიზნად ისახავს ხელის შეუწყოს მენეჯმენტის სფეროს განვითარებას და შრომის ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებას, რაც ადგილობრივ შრომის ბაზარზე პრაქტიკული უნარების მქონე კურსდამთავრებულების არსებობით იქნება განპირობებული. მცდელობა არსებული პროგრამით შეიქმნას კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც ადგილს დაიმკვიდრებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრებზე.“ თუ მოვახდენთ პროგრამის მიზნების და უნივერსიტეტის მისიის შედარებას ცხადი ხდება მათი შესაბამისობა. კერძოდ, უნივერსიტეტის მისიაა შექმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გარემო, რომელიც ძლიერი თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონეტების და ინტერნაციონალიზაციის გზით მოამზადებს კონკურენტუნარიან პროფესიონალებს.

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი - https://www.seu.edu.ge/.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და მიზნებიდან. პროგრამის სასწავლო კურსებში აღწერილია ბიზნესის საფუძვლების, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების ძირითადი კონცეფციები. პროგრამაში გათვალისწინებულია ისეთი თანამედროვე სასწავლო კურსები, როგორიცაა ხარისხის მართვა მომსახურების სექტორში, ექსპორტის

მენეჯმენტი. აღწერილია სფეროში არსებული აქტუალური საკითხები და დახასიათებულია ამ პრობლემების გადაჭრის შესაბამისი გზები და მეთოდები. არჩევითი კურსების ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსი და გაიღრმავონ ცოდნა გარკვეული მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშის მე-13 გვერდზე ვკითხულობთ, „პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი, რომელიც კონკრეტული კომპეტენციების სახით აღიწერა პროგრამის შედეგებში.

პროგრამის სწავლის შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თანახმად, ბაკალავრიატის დონისთვის გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი შედეგი გაწერილია შემდეგნაირად: „*იცნობს* თანამედროვე ბიზნესის არსს, თავისებურებებსა და გამოწვევებს“, „*განასხვავებს* ბიზნეს სტრატეგიების სახეებს და *მსჯელობს* მათი დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების შესახებ“ (მენეჯმენტის პროგრამა გვ.7).

უმჯობესია სწავლის დარგის მოწინავე ცოდნა, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული ანალიზი, სასწავლო სფეროს რთული საკითხების გაცნობიერება, დარგში არსებული სპეციფიკური მეთოდების გამოყენების უნარი, კვლევითი პროექტების განხორციელების უნარი, საქმიანი დოკუმენტაციის წერითი კომპეტენციის უნარი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენების უნარი, მიღებული გადაწყვეტილებების სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით მიღება, საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება.

სწავლის შედეგები მოითხოვს მეტ გამჭირვალობას და გაზომვადობას. მაგალითად, შედეგი: „შეიმუშავებს პროექტს და ასაბუთებს მის განხორციელებას რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი კვლევით და მისი შედეგების კომუნიკაციით“ ბოლო ნაწილი ბუნდოვანია. ასევე შედეგი „ავლენს ინდივიდუალური და გუნდური ქცევის მოტივებს და ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღებისას“ არ ასახავს ნათლად ვინ რა გადაწყვეტილებებს იღებს და რას ითვალისწინებს.

დაწესებულებაში მუდმივად ხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება,

შესაბამისად უნივერსიტეტში პერმანენტულად ხორციელდება შრომის ბაზრის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების კმაყოფილების დონის კვლევა, ხოლო აღნიშნული კვლევის შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ შრომის ბაზრის ანალიზი; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალები; ▪ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზი; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები გაიწეროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში გაწერილ სწავლის დონესთან (ბაკალავრიატთან) შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის) მფლობელ საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტი

განათლება საზღვარგარეთ. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება მობილობის წესითაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს პროგრამის დაშვების წინაპირობებში არ აქვს დაწესებული უცხო ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - seu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის გამოყენებით. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, პროგრამა შედგენილია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს და იყოფა შემდეგ კომპონენტებად: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (147 კრედიტი); სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (27 კრედიტი); თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები (12 კრედიტი); თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები (30 კრედიტი); თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები (24 კრედიტი). სასწავლო კურსები პროგრამაში ლოგიკური თანმიმდევრობითაა დალაგებული. მათი შინაარსი და სტრუქტურა ადექვატურია მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნების და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსების ფართო არჩევანი. თუმცა, პროგრამის სტრუქტურა მოითხოვს დახვეწას. თავისუფალი კომპონენტების ქუდის ქვეშ გაერთიანებულია ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: საუნივერსიტეტო სავალდებულო, სავალდებულო/არჩევითი, საუნივერსიტეტო და თავისუფალი სასწავლო კურსები, რაც პროგრამის სტრუქტურას ბუნდოვანს, ხოლო სტუდენტებისათვის რთულად აღქმადს ხდის. გაუგებარია, თუ სასწავლო კურსი სავალდებულოა, როგორ შეიძლება იყოს თავისუფალი კომპონენტების შემადგენელი ნაწილი, ან და ერთსა და იმავე პროგრამაში თუ სასწავლო კურსი სავალდებულოა, ის იმავდროულად არჩევითი როგორღა არის და ა.შ. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ეს განმარტება ჩვენთვის დღემდე ბუნდოვანია.

მენეჯმენტის პროგრამაში სავალდებულოა საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, რომელიც „მცირე სასწავლო-კვლევითი კომპონენტის სახითაა წარმოდგენილი და საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ხორციელდება. სტუდენტი მის მიერ არჩეული საკვლევი თემის ირგვლივ მოიძიებს სამეცნიერო ლიტერატურას, დაამუშავებს და წერს მის მიმოხილვას. შესრულებულ კვლევას აფორმებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, მისი გამოყენებით ამზადებს პრეზენტაციას და წარმოადგენს სპეციალურად შექმნილი კომისიის წინაშე“.

როგორც თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ (გვერდი 20): „ბაზისურ ცოდნას კვლევის ჩატარების და მისი (საბაკალავრო ნაშრომის) გაფორმების წესის შესახებ სტუდენტი აკადემიური წერისა და „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ სავალდებულო სასწავლო კურსების გავლის შედეგად უფლება.“ თუმცა საბაკალავრო ნაშრომის პრერეკვიზიტად მხოლოდ სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ არის გაწერილი. ფაქტობრივად, აღიარებულია, რომ სასწავლო კურსების „კვლევის მეთოდები ბიზნესში“, „გამოყენებითი სტატისტიკა“ და „თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიების“ გავლით სტუდენტს შეუძლია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება.
გარდა სასწავლო კურსისა „კვლევის მეთოდები ბიზნესში“, შესწავლილი უნდა ჰქონდეს ის საკვანძო სასწავლო კურსები, რომლებიც აუცილებელია მენეჯმენტში კვალიფიკაციის მისაღებად და საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს ალბათობა, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულების უფლება სტუდენტმა არა პროგრამის დამამთავრებელ ეტაპზე, არამედ მას შემდეგ ითხოვოს, რაც სასწავლო კურსს „კვლევის მეთოდები ბიზნესში“, გაივლის.
აქედან გამომდინარე, საჭიროა გადაიხედოს საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან,
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: seu.edu.ge

რეკომენდაციები

1. საჭიროა დაზუსტდეს პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტების არსი, რათა პროგრამის სტრუქტურა არ იყოს ბუნდოვანი და სტუდენტებისთვის რთულად აღქმადი;
2. საჭიროა გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სავალდებულო სასწავლო კურსებში შეტანილია ისეთი საგნები, როგორიცაა: მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ინფორმაციული

ტექნოლოგიები, ინოვაციების მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვა, სტრატეგიული მენეჯმენტი (ქართულ და ინგლისურ ენაზე) და ა.შ. სასწავლო კურსების შინაარსი და თემატიკა შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს, სწავლების მეექვსე (ბაკალავრიატის) დონესთან. აღსანიშნავია არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნება. პროგრამაში შეტანილია ისეთი ახალი კურსები, როგორიცაა: ექსპორტის მენეჯმენტი, მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი, საცალო ვაჭრობა და მერჩენდაიზინგი.
თითოეული სასწავლო კურსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა ასახულია სწავლის შედეგების რუქაზე. სავალდებულო კურსების კრედიტების რაოდენობა შეესაბამისია სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროების, ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის.
სილაბუსებში მითითებული თემატიკა ლოგიკურია და ასახავს დარგში არსებულ აქტუალურ საკითხებს. სილაბუსებში ასახულია კონკრეტული პრობლემების დაძლევის თანამედროვე მიდგომები და მეთოდები. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს მიეწოდება ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე, რიდერების სახით.

სწავლების საფეხურიდან და დონიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები „საცალო ვაჭრობის გაყიდვები და მერჩენდაიზინგი“ (4 კრედიტი) და „გაყიდვების მენეჯმენტი“ (4 კრედიტი) უმჯობესია გაერთიანდეს, ასევე „მომხმარებელთა ქცევა“ (4 კრედიტი), და „პროდუქტის განვითარების სტრატეგიები“ (5 კრედიტი), „ბრენდინგი“ (5 კრედიტი).
აღნიშნული სასწავლო კურსების გაერთიანებით მოხდება სასწავლო კურსების გამსხვილება, რაც გაზრდის შესაძლებლობას, სტუდენტმა რამოდენიმე მიმართულებით ერთდროულად გაიღრმავოს კომპეტენცია.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეამოწმა ინგლისური ენის სასწავლო კურსების სილაბუსები, რადგან ცენტრის მიერ გადმოგზავნილ მასალებში შესაბამისი სილაბუსები არ მოიძებნა. უცხო ენის სასწავლო კურსთან დაკავშირებით ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დროს, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორის ინტერვიუს საფუძველზე მოაგროვა.
საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში არ აქვს დაწესებული უცხო ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თუმცა, ლოგიკურად მიგვაჩნია სტუდენტთა, უცხო ენის კომპეტენციის დონის შესაბამისად, ჯგუფებად დაყოფა, ხოლო ენაში დაბალი კომპეტენციის მქონე სტუდენტებისთვის - უცხო ენის გაძლიერებული კურსის შეთავაზება. დროთა განმავლობაში ეს აამაღლებს სტუდენტთა უცხო ენის კომპეტენციას და სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე შესწავლას მეტი სტუდენტი შეძლებს. გარდა ამისა,

სასწავლო კურსების დამატებით ლიტერატურაში მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც ლოგიკურად სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციის შესაბამის დონეს საჭიროებს.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე სთავაზობს სავალდებულო სასწავლო კურსების გავლას (მაგალითად, Strategic Management (სწავლების მესამე სემესტრი), Technology and Innovative Management, Modern Challeneges to International Management).

პროგრამაში ჩართულმა დაინტერესებულმა პირებმა (სტუდენტებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, დამსაქმებლებმა) გააჟღერეს ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების საჭიროება. უცხო ენის კომპეტენციის ამაღლება დადებითად აისახება სტუდენტთა სწავლების შედეგებზე და ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემა გაწერილია პროცენტული მაჩვენებლებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 მუხლი 4 პუნქტი 2-ს შესაბამისად, *შეფასების თითოეულ ფორმასა* (შუალედური და დასკვნით შეფასება) *და კომპონენტს* შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში), საბოლოო შეფასებაში.

თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 მუხლი 4, პუნქტი 9-ს შესაბამისად, სტუდენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას, გამოსახულს ქულებში:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა და ა.შ.

სილაბუსებში ასევე არის სტუდენტთა შეფასების ფორმები და კომპონენტები ჩაშლილი და გაანგარიშებული ქულებში, თუმცა სტუდენტის შეფასების სისტემა გამოსახულია პროცენტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ უცხო ენების სასწავლო კუსის განმახორციელებელი პედაგოგთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები: 2. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები გაიწეროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში გაწერილ სწავლის დონესთან (ბაკალავრიატთან) შესაბამისად; 3. სასურველია სტუდენტის შეფასების სისტემა შესაბამისაობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 მუხლი 4, პუნქტი 9-თან და სტუდენტთა შეფასება გამოისახოს ქულებში და არა პროცენტებში; 4. რეკომენდებულია კიდევ მეტი აქტივობები უცხო ენის კომპეტენციის ასამაღლებლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გამსხვილდეს და გაღრმავდეს ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებში თემატიკა, არსებული სასწავლო კურსების გაერთიანების გზით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურუკულუმით განსაზღვრულ სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სწავლების მეთოდები, კერძოდ გამოყენებულია ქეისების განხილვის, პრეზენტაციების მომზადების და პრაქტიკული სავარჯიშოების ამოხსნის მეთოდები. უნივერსიტეტი პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობას. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ რესპოდენტთა აზით, სასურველი იქნებოდა სტუდენტების მეტი ჩართულობა სტაჟირებებაში, სხვადასხვა კომპანიებში, დარგის წამყვან სპეციალისტებთან შეხვედრების გამართვა.
აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში, თუმცა სასურველია მათი გააქტიურება ამ მეტი ჩართულობა საგრანტო სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი მიმართულებით გააქტიურება და საგრანტო სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში მეტი ჩართულობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აუცილებელია პრაქტიკული აქტივობების გამრავალფეროვნება როგორც სტუდენტებისათვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს ცალკეული სასწავლო კურსებისა და ზოგადად, პროგრამის შედეგების მიღწევას. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უმეტესწილად გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, როლური და სიტუაციური თამაშები, სიმულაციები, ქეისების განხილვა. სტუდენტების აქტიურობა ფასდება ქულებით. პროგრამაში გაწერილია სწავლა-სწავლების მეთოდების დეფინიციები და სპეციფიკა. სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილია თითოეული კურსის ფარგლებში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის მიერ გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. სწავლების მეთოდების ადაპტირება ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში.

სტუდენტთა კმაყოფილება სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგიით მოწმდება ინდივიდუალურად, თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, მათ მიერ ელექტრონული კითხვარის შევსების გზით. .სასწავლო კურსებში გაწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები რელევანტურია სასწავლო კურსების შედეგების.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ○ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით,

გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის („სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“) მიხედვით. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“ განთავსებულია უნივესიტეტის ვებ-გვერდზე. შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას. სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, საიდანაც 70 ქულა ეთმობა მიმდინარე და შუალედურ შეფასებას, ხოლო 30 ქულა დასკვნით გამოცდას. როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს. სეუ-ში ფუნქციონირებს ელექტრონული საგამოცდო სისტემა. სტუდენტებს ეძლევათ თავისუფლება თავად აირჩიონ მათთვის სასურველი დრო როგორც შუალედური, ასევე ფინალური გამოცდის ჩასაბარებლად. შუალედური გამოცდის ჩაბარება შეუძლიათ ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო ფინალური გამოცდის - ორი კვირის. შეფასების თანასწორი, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომების უზრუნველსაყოფად, ლექტორთან მიდის დაშიფრული ნაშრომი და იგი ვერ ხედავს საგამოცდო ნაშრომის ავტორის სახელსა და გვარს. ლექტორებს აქვთ შესაძლებლობა საგამოცდო ნაშრომს თან დაურთონ კომენტარები ელექტრონულ პორტალში. შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ უკუკავშირი გამოცდის შედეგებზე. უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან ამ პროცედურის შესახებ და ერთ-ერთ მათგანს გაუსაჩივრებია კიდეც მიღებული შეფასება, რაზეც ადეკვატური და სამართლიანი უკუკავშირი მიიღო. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი, ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. თუმცა, აღსაღნიშნავია ის გარემოება, რომ სილაბუსებში შეფასების სისტემა გაწერილია პროცენტებში და არა ქულებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების ანგარიში; ✓ პროგრამა და სილაბუსები; ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი; ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები; ✓ ვებ-გვერდი; ✓ გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: აუცილებელია სტუდენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 მუხლი 4, პუნქტი 9-თან და სტუდენტთა შეფასება გამოისახოს ქულებში და არა პროცენტებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა მეტწილი თუ ნაწილობრივი?

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა

				ნ
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც სტუდენტური პორტალის (seu.ini.ge) მეშვეობით, აგრეთვე უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ლექტორებთან საკონსულტაციო შეხვედრების გზით. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირის ინდივიდუალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. გასაუბრების დროს საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. თუმცა, სტუდენტების მხრიდან ჩართულობის დონე დაბალია როგორც გაცვლით პროგრამებში, ასევე კონფერენციებში მონაწილეობის მიღების კუთხით. ბოლო ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ხუთმა სტუდენტმა მიიღო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. უნივერსიტეტში არსებული პროექტებისა და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები იღებენ ინფორმაციებს სხვადასხვა გზების საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების ანგარიში;

✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/

საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 58 აკადემიური/მოწვეული პერსონალი. მათ შორის 18 აკადემიური პერსონალი და 40 მოწვეული ლექტორი. წარმოდგენილი რეზიუმეების საფუძველზე, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებზე გასასვლელად. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი 2018 წლის მონაცემებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 58 / 216. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის შემდეგი თანაფარდობა 18/40. სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან 130 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონიალის პირადი საქმეები სრულად არ იყო გადმოგზავნილი ექსპერტთა ჯგუფისთვის, რის გამოც ვერ მოხერხდა დროულად პროგრამაში ყველა ჩართული პირის კომპეტენციის შემოწმება. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შემუშავებისთვის. მიუხედავად ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შემუშავებაში, მაგრამ, საჭიროა მისი მეტი ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. აღნიშნული გამომდინარეობს იქედან, რომ მას არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რამდენია ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე? სად გადიან პრაქტიკას სტუდენტები? დამსაქმებლების ჩართულობით, რომელი ასპექტები იყო გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებაში? პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის მართვას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება პოზიტიურად აისახებოდა პროგრამის განხორციელება- განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ;
- ✓ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ;
- ✓ აკადემიური / მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარ იცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა;
- ✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აუცილებელია პროგრამის ხელმძღვანელის მეტი ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

x **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სეუ რეგულარულად აწარმოებს პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს. პროფესორების/ლექტორების შეფასების ანგარიში მოიცავს პერსონალის პროცედურულ 18 და შინაარსობრივი მახასიათებლების შეფასებას, სტუდენტთა მოლოდინის შეფასებას. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ / მოწვეულ პერსონალს აფასებს ვიცე-რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. მათი შეფასება ხდება ასევე სტუდენტების მიერ, რომელიც ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს და შედეგები საჯაროვდება. პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის კვლევის მიხედვით, საშუალო მაჩვენებული არის 5,166. ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე აქტივობის ოდენობა და უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების მაჩვენებელი ჩამოუვარდება ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობებს და იგივე ითქმის კონფერენციებზეც. როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უტარებს ტრენინგებს აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტების, სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების სისტემის, სწავლის შედეგების გაწერის, ახალი საგამოცდო ელექტრონული ფორმატის დანერგვის და სხვა მნიშვნელოვან აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც ემსახურება მათი პროფესიული და სწავლების უნარის განვითარებას“. პერსონალის კვლევითი საქმიანობის წასახალისებლად შემოღებულია შიდა საგრანტო სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს პერსონალს მიიღოს დაფინანსება სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი პროგრამისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები ;
- ✓ პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები ;
- ✓ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;

- ✓ საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის შედეგები ;
- ✓ საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამოცემული ლიტერატურა ;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ✓ აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასები სქემა.
- ✓ პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები;
- ✓ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლ ევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი კომპონენტის
- ✓ მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს
- ✓ შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

აუცილებელია ტრენინგების / სხვადასხვა უნარ-ჩვევების ასამაღლებელი ღონისძიებების ინტენსიური დაგეგმვა და განხორციელება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილია უახლესი ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ნათლად ჩანს, რომ ინფრასტრუქრურა და განახლებული ტექნოლოგიები არამარტო აღნიშნული პროგრამის, არამედ უნივერსიტეტის ძლიერი მხარეა. შენობა მოიცავს სტუდენტებისთვის განკუთვნილ თავისუფალ სივრცეს, სადაც განთავსებულია ხმის ჩამხშობი მაგიდა - სკამები, აქ შესაძლებელია მეცადინეობა/კითხვა ისე, რომ გარშემო ხმაურმა გავლენა არ იქონიოს. ასევე მოიცავს შოურუმებს, საკონფერენციო დიდ და მცირე დარბაზებს, სხვადასხვა ფორმატის აუდიტორიებს. მოწესრიგებულ, სუფთა სველ წერტილებს. ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვისაც. ყველა შესასვლელ/გამოსასვლელი აღჭურვილია პანდუსებით. ლიფტები არის ფართო და მაღალჭერიანი. დათვალიერების დროს ვნახეთ ეტლები, რომლითაც სარგებლობა შეეძლებათ უნივერსიტეტის შშმ სტუდენტებს და ამ სერვისს მათ უნივერსიტეტი სთავაზობს უსასყიდლოდ. აღსანიშნავია, რომ აუდიტორიები აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ინვენტარით. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ყველა საჭირო ტექნოლოგიის გამოყენების წესის შესახებ და ყველა აღნიშნული ტექნოლოგია ხელმისაწვდომია მათთვის. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის უნიკალური არქიტექტურა მოიცავს საჩოგბურთო კორტებს, საცურაო აუზს, საფეხბურთო მოედანს და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ასევე უნივერსიტეტის ძლიერი მხარეა. პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ ვერსიებად ონლაინ რეჟიმში. სტუდენტს შეუძლია ჩამოტვირთოს, შეინახოს და ისარგებლოს ელ. ფორმატის წიგნებით. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია წვდომა ისეთ სამეცნიერო ბაზებთან, როგორიცაა: ✓ Cambridge Journals Online ✓ e-Duke Journals Scholarly Collection ✓ Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books ✓ IMechE Journals ✓ Royal Society Journals Collection

- ✓ Openedition Journals
- ✓ Scopus
- ✓ Science Direct
- ✓ ELSEVIER

ბაზები მოიცავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს, სხვადასხვა დარგების განვითარების ტექნოლოგიებს, ლიტერატურას, სტატიებს და სამეცნიერო კვლევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ✓ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება/ტური.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

1. საუკეთესო პრაქტიკად უნდა აღინიშნოს საგამოცდო პროცესის ავტომატიზაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიების იმპლემენტაცია სასწავლო პროცესში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება პროგრამის ბიუჯეტით, რომელიც ფორმირდება სტუდენტების სასწავლო კრედიტების საფასურით. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ის აუცილებელი ხარჯო, რაც პროგრამის განვითარებას უწყობს ხელს. ამავდროულად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სასურველი იქნებოდა მეტი ფინანსური რესურსების გამოყოფა. გამოყოფილი თანხები არასაკმარისია. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბიუჯეტში კვლევითი ხარჯები კლების ტენდენციითაა წარმოდგენილი. დაფინანსების ზრდის შემთხვევაში, გაიზრდებოდა პერსონალის პროფესიული, სამეცნიერო, კვლევითი საქმიანობის მოტივაცია და მატი სამეცმნიერო-კვლევითი აქტივობები. დაფინანსების გაზრდა ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესს უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ უსდ - ის ბიუჯეტი ;
- ✓ პროგრამის / ფაკულტეტის / სკოლის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია უნივერსიტეტის მხრიდან აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის

მხარდაჭერის მიზნით, დაფინანსების გაზრდა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც თავისი ფუნქციებით ცდილობს უზრუნველყოს უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევა. ის ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასებას, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამებში. საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერის სამსახური და განვითარების სამსახური, რომლებიც ასევე არიან ჩართულები პროგრამაში მისი სრულყოფის მიზნით. პროგრამის და/ან ცვლილებების შეფასება ხორციელდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მაჩვენებლებით. უნივერსიტეტში დანერგილია თვითშეფასების მექანიზმი, რომლის მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრა და განვითარება. გამოკითხვის შედეგების და ჩატარებული შემოწმება-შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გამოაქვს დასკვნა აღმოჩენილი ხარვეზების ან სასწავლო პროცესის სუსტი მხარეების შესახებ და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. ამის მიუხედავად, საჭიროა აღინიშნოს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის კომუნიკაციის გაუმჯობესების მწვავე აუცილებლობა აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. რომ არ აღინიშნოს არაკოლეგიალური მიმართვები აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ ვიზიტის დროს, პროგრამასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები მიუთითებს კომუნიკაციის გაუმჯობესსბის აუცილებლობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ✓ პროგრამის თვითშეფასების მექანიზმი; ✓ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა; ✓ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა; ✓ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კომუნიკაციის გაუმჯობესება ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ, მოწვეულ პერსონალს შორის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა x **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი გარე შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მექანიზმებს. 2015 წელს განხორციელდა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაცია, შესაბამისად, პროგრამის გარე შეფასების პროცესში უნივერსიტეტს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით მიცემული რეკომენდაციები დამუშავებული აქვს და ცვლილებები ასახულია მიმდინარე საბაკალავრო პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური

შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელთა შედეგების შესწავლა-ანალიზი-გამოყენება შემდგომში გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხისა და პროგრამის სრულყოფისათვის. საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები და ანკეტები აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გამოსაკითხად. ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი, მის განხორციელებაში ჩართული მხარეების გამოკითხვა და შედეგების ანალიზი, პროგრამის გასაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ✓ პროგრამის თვითშეფასების მექანიზმი; ✓ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა; ✓ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სამომავლოდ, გარდა ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებისა, უნივერსიტეტმა გამოიყენოს პერიოდული შეფასების კიდევ ერთი მექანიზმი, გარე ექსპერტის შეფასება, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს პროგრამის განვითარებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში o მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

შპს- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		x		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ზარნაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანა მიხელიძე

ნათელა გიორგაძე